საქართველოს კანონი

„წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 20.07.2023, სარეგისტრაციო კოდი: 400000000.05.001.021003) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-6 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კომპეტენციას საკუთარი უფლებამოსილების (ეკონომიკური პოლიტიკა, მდგრადი განვითარება, ენერგეტიკა, ენერგოეფექტიანობის, კლიმატის ცვლილებისა და განახლებადი ენერგიების სფეროები, დასახლებათა განვითარების დაგეგმვა და სხვა) ფარგლებში განეკუთვნება წყლის რესურსების მართვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა.“.

2. 31-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) სახელმწიფო კონტროლს მიწისქვეშა წყლებით სარგებლობის სფეროში.“;

გ) მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**

თბილისი,

13 მაისი 2025 წ.

N564-IIმს-XIმპ